www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 12 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3385 (192) | ფასი 50 თეთრი

წულუკიანი და ბოკუჩავა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მიზნით ჩამოყალიბებული უწყებათშორისი კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ კომისიის ხელმძღვანელმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და კომისიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა თინა ბოკუჩავამ ჟურნალისტებთან საუბარში ერთმანეთი გააკრიტიკეს.

როგორც ბოკუჩავა ამბობს, წულუკიანმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს მატყუარები უწოდა და შეხვედრაზეც დაადასტურა, რომ მისი მთავარი ამოსავალი წერტილი ამ პარტიის განადგურებაა.

წულუკიანი „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან საბოტაჟზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ მათი მხრიდან თანამშრომლობის შესახებ გაკეთებული განცხადებები ფასადურია. იუსტიციის მინისტრი იმ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, რაც სხდომაზე დაპირისპირების მიზეზი გახდა. **„სპორტის სასახლეში დაგეგმილი „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობის შესახებ კომისიას ინფორმაცია ღამის საათებში მიაწოდეს. თავის მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა შესაბამისი ზომამ იიღო, რათა ყრილობა ინციდენტების გარეშე ჩატარებულიყო,“** - ამბობს წულუკიანი.

წულუკიანსა და ბოკუჩავას შორის შელაპარაკება „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი საჩივრის განხილვას მოჰყვა. „ნაციონალური მოძრაობის“ მტკიცებით, მათ სატრანსპორტო კომპანიამ მომსახურებაზე უარი უთხრა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

THE ECONOMIST: „ბურჯანაძე აცხადებს, რომ გამარჯვებაზე ნაკლები შედეგი გაყალბებაზე მიანიშნებს“

„საქართველოს მომავალი - არანაირი ცვლილება უკეთესობისკენ,“ - ამ სათაურით აქვეყნებს ბრიტანული გამოცემა The Economist სტატიას საქართველოს შესახებ. როგორც სტატიაშია აღნიშნული, ბიძინა ივანიშვილის მმართველობით საქართველო რეგრესს განიცდის.

ამასთან, სტატიის ავტორი წერს, რომ მიხეილ სააკაშვილის დადანაშაულება ბევრი რამესთვის შეიძლება, თუმცა არა - ხედვის ნაკლებობისთვის.

„10 წლის წინ, 36 წლის სააკაშვილი „ვარდების რევოლუციას“ ჩაუდგა სათავეში და მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ეროვნული ლიდერი გახდა. მისი ქვეყნა იმ დროისთვის ტრავმირებული და არშემდგარი იყო. 10 წლის განმავლობაში ის საქართველოს მენტალური რევოლუციის გზით უძღვებოდა, მოახდინა მისი მოდერნიზება, გაათავისუფლა საბჭოთა მემკვიდრეობიდან და რუკაზე დააბრუნა. ის იბრძოდა და დამარცხდა რუსეთის წინააღმდეგ ომში, მოდრიკა ოპოზიცია, დომინირებდა მედიაზე, ერეოდა მართლმსაჯულებაში და მოახდინა ძალაუფლების მონოპოლიზება,“ - წერს გამოცემა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მთავრობა კონფლიქტის ზონაში

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის წევრები გუშინ კასპისა და გორის რაიონის სოფლებში იმყოფებოდნენ.

კომისიის თანათავმჯდომარე, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით სუჯაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით შერვაშიძე, ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების წარმომადგენლები სოფლებში - თვაურებში, საკორინთლოში, სარიბარში და ხურვალეთში ჩავიდნენ და ათი სოფლის მოსახლეობას შეხვდნენ.

ადგილობრივებმა ყველაზე დიდ პრობლემად საოკუპაციო ხაზთან მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრება დაასახელეს. ამასთან, მოსახლეობას გაზიფიკაციის და სარწყავი წყლის პრობლემა აწუხებს.

მთავრობის წარმომადგენლები ადგილობრივებს გაზიფიკაციის ექვსი თვის განმავლობაში დასრულებას დაჰპირდნენ.

კომისიის წევრებმა მოსახლეობას მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნეს.

„აქ ვიმყოფები არა როგორც სახელმწიფო მინისტრი, არამედ როგორც სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარე და მინდა, გაცნობოთ, რომ რამდენიმე დღეში გაიმართება კომისიის სხდომა. ამიტომ გვსურს, სხდომის წინ კიდევ უფრო დეტალური ინფორმაცია მივიღოთ მოსახლეობისგან. თუმცა, სამუშაო ჯგუფმა, რომელიც მაისის ბოლოს შეიქმნა, ამ სოფლების საჭიროებების შესახებ უკვე შეაგროვა მონაცემები, რომელთა შედეგადაც კონკრეტული გეგმები შევიმუშავეთ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ობამამ და რესპუბლიკელებმა მოლაპარაკებები განაახლეს

ივა შილაკაძე

ხუთშაბათს თეთრ სახლში აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და კონგრესში რესპუბლიკელების ფრაქციის ლიდერებს შორის სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის აწევისა და აშშ-ს 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისთვის მოლაპარაკებები გაიმართა. „24 საათი“ უკვე ორი კვირაა, დაწვრილებით აშუქებს შეერთებულ შტატებში შექმნილ საბიუჯეტო კრიზისს, რის გამოც 1 ოქტომბრიდან, როდესაც ამ სახელმწიფოში ფინანსური წელი იწყება, მთავრობას დაფინანსება შეჩერებული აქვს და მუშაობას კრიზისული სიტუაციებისთვის მოქმედი სქემით აგრძელებს. სახელმწიფო ჩინოვნიკთა ნაწილი კი იძულებით შვებულებაშია.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

დელ ბოსკე: „წინ ორი ფინალი გველის“

საქართველო ესპანეთთან შესახვედრად ემზადება

გვ. 7

რეინკარნირებული „საჩუქარი“ იწყება

სოფო კილასონია

თუკი გვსურს გავიგოთ ქართულ საზოგადოებაში არსებული პრობლემები და არა მხოლოდ კულტურის სფეროში ჩართული საზოგადოების, საკმარისია საქართველოს კულტურული ცხოვრების განრიგს ან „კალენდარს“ ჩავხედოთ და ყველაფერს მივხვდებით. ერთ სეზონში თავმოყრილი რამდენიმე ფესტივალი პრობლემაა არა მხოლოდ დადუმებული სხვა სეზონების გამო, არამედ იმიტომაც, რომ ამ პატარა ქვეყანაში, უფრო სწორად თბილისში მცხოვრებთა შორის ძალიან მცირეა კულტურით დაინტერესებული საზოგადოების მასშტაბი და თანაც ხელოვნების ყველა სფეროს აუდიტორია ზუსტად ერთი და იგივეა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

რუის-ურბნისის ეპარქიას სურამისა და ხაშურის ეპარქია გამოეყო

ექვს ახალ ეპარქიას შორის, რომელიც წმინდა სინოდის გუშინდელი გადაწყვეტილებით შეიქმნება, ერთ-ერთი სურამისა და ხაშურის ეპარქია იქნება , - ამის შესახებ ჟურნალისტებს წმიდა სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ ილუმენმა სვიმეონ თაკაშვილმა განუცხადა, რომელიც აღნიშნული ეპარქიის მღვდელთმთავარი იქნება.

მისივე განმარტებით, სურამის და ხაშურის ეპარქია რუის-ურბნისის ეპარქიას გამოეყო. „წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, რუის-ურბნისის ეპარქიას სურამისა და ხაშურის ეპარქია გამოეყო. მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით და სინოდის რჩეულთა განჩინებით, ეს მძიმე და ამასთან ერთად ტკბილი ტვირთი მე დამეკისრა ღვთის სადიდებლად და ქვეყნის გასაერთიანებლად. თითოეული თქვენგანის კეთილდღეობაზე ლოცვით, მე შევეცდები, ღირსეულად ვატარო ეს ტვირთი და გავამართლო მისი უწმინდესობის იმედი და სინოდის რჩეულთა ნდობა," - განაცხადა სვიმეონ თაკაშვილმა.

გიორგი მარგველაშვილი - არავის ვურჩევდი, სახელმწიფო წესრიგს ეთამაშოს

არავის ვურჩევდი, სახელმწიფო წესრიგს ეთამაშოს, - ამის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. მარგველაშვილი გამოეხმაურა „ნაციონალური მოძრაობის" გენერალურ მდივან ვანო მერაბიშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ „ნინო ბურჯანაძის ხელით, რუსეთს თბილისში არეულობის მოწყობა აქვს განზრახული".

„ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, არავის ექნება უფლება, რამენაირად კანონს გადაუხვიოს. „არა მგონია, რომ მერაბიშვილი ძლიერი ანალიტიკოსი იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი ხელისუფლება სრულიად აკონტროლებს ვითარებას, ჩვენ ბოლომდე ვფლობთ ყველა ბერკეტს სამართლის დაცვის კუთხით. რაც შეეხება წესრიგს, არავის ვურჩევდი, ეთამაშოს სახელმწიფო წესრიგს," - აღნიშნა მარგველაშვილმა.

როგორც სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" მერაბიშვილის გვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული პროცესი, არჩევნების გაყალბების საბაბით, 28 ოქტომბერს დაიწყება.

პოლიტიკით ვეღარ გავერთობით, გავერთობით სერიალებით, - ამის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატმა მთაწმინდის მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

გიორგი მარგველაშვილმა მოსახლეობას სიტყვით მიმართა და აქტიურობისკენ მოუწოდა. მისი თქმით, თბილისი მუდმივად არის პოლიტიკური ინტრიგების ქალაქი, თუმცა ასე აღარ იქნება.

„ვინც მიცნობს, იცის, რომ არც ინტრიგანი ვარ, არც ძალაუფლება მჭირდება და არც ვიღაცის დაჩაგვრა მინდა. პოლიტიკით ვეღარ გავერთობით, გავერთობით რაღაც სერიალებით. აგერ, თურქული სერიალია მოდაში, იმას ვუყურებთ, მაგრამ პოლიტიკით ვეღარ გავერთობით. იქნება ერთად სვლა ქვეყნის განვითარების სამსახურში", - აღნიშნა „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატმა.

მისი თქმით, დარჩენილი ორი კვირის განმავლობაში ოპოზიციონერები კიდევ უფრო გამოავლენენ საკუთარ თავს. „ორი კვირა დარჩა, სანამ დასრულდება ეს კოჰაბიტაცია და ეს გარყვნილობა ამ ქალაქში, ამ ქვეყანაში. დასრულდება ხელისუფლებაში თითქოს ლეგიტიმურად მოსული ადამიანები, რომლებიც ღიად აცხადებენ, რომ ისინი არიან ქვეყნის ოპოზიციაში, ოპოზიციის მიტინგებში მონაწილეობენ. თუ ოპოზიციაში ხარ, რატომ ხარ მთავრობაში. ამასწინათ კომიკური მიტინგი ჩაატარეს, მოქმედი მერი და მოქმედი პრეზიდენტი ოპოზიციის მიტინგზე იდგნენ, ეს კომედია იყო," - დასძინა გიორგი მარგველაშვილმა.

ეუთო-ს გენერალური მდივანი - ღობეების აღმართვა და მოსახლეობის დაყოფა უსიამოვნო ფაქტია

ავსტრიაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ეუთო-ს გენერალურ მდივან ლამბერტო ზანიერის შეხვდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე განიხილეს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება, განსაკუთრებით კი საოკუპაციო ხაზზე ბოლო დროს განვითარებული მოვლენები. ისაუბრეს საქართველოში ეუთო-ს მისიის აღდგენის შესაძლებლობებზე, ჟენევის მოლაპარაკების მიმდინარეობაზე, ასევე 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ეუთო-ს გენერალურმა მდივანმა ლამბერტო ზანიერიმ აღნიშნა, ორგანიზაცია ცდილობს, იპოვოს მიმდინარე პროცესებში ჩართვის გზები და უზრუნველყოს დახმარება.

„ეუთო-ს მუდმივმოქმედ საბჭოში საკმაოდ საინტერესო დისკუსია გვქონდა, სადაც გამოითქვა შეშფოთება საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო ღობეების აღმართვა და მოსახლეობის დაყოფა უსიამოვნო ფაქტია. ეუთო არის ორგანიზაცია, რომელიც კონცენტრირებულია ადამიანებს შორის არხების გახსნასა და კონტაქტების დამყარებაზე და არა ღობეების აღმართვაზე. ჩვენ ვცდილობთ, მიმდინარე პროცესში ჩართვის გზები ვიპოვოთ და დახმარება უზრუნველყოთ. ჩემთვის, როგორც ეუთო-ს გენერალური მდივნისთვის, პრიორიტეტულია საქართველოში ეუთო-ს ყოფნის გარკვეული ხარისხით აღდგენა. თუმცა, ჩვენ ჯერ კიდევ წარმოდგენილნი ვართ საქართველოში, კერძოდ, ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმში მონაწილეობის, ასევე პროექტების განხორციელების გზით. ჩვენ ვცდილობთ, ჩავერიოთ და დავეხმაროთ მოსახლეობას კონტაქტების დამყარებაში. ეს ჩვენი გრძელვადიანი მიზანია. რა თქმა უნდა, ამგვარი ჩართულობის გაგრძელების თვალსაზრისით, ძალზედ მნიშვნელოვანია სრულად მონაწილეობა ჟენევაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ეს, მართლაც რომ, უმნიშვნელოვანესი საკითხია," - განაცხადა ლამბერტო ზანიერიმ.

წულუკიანი და ბოკუჩავა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

პირველი გვერდიდან

თეა წულუკიანი ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის" წევრები ღამის საათებში, იმის ნაცვლად, რომ კომისიის ცხელ ხაზზე დაერეკათ ან ელ. წერილი გაეგზავნათ, ერთ-ერთ საერთაშორისო წარმომადგენლობას დაუკავშირდნენ და „წუწუნი მათთან ატეხეს."

წულუკიანის თქმით, კომისიას ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციამ მიაწოდა, ამას ღამით მყისიერი რეაგირება მოჰყვა.

იუსტიციის მინისტრის თქმით, მათ სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენელი მოიწვიეს, რომელსაც ხალხის გადაყვანაზე უარი არ უთქვამს. თეა წულუკიანი „ნაციონალურ მოძრაობას" მოუწოდებს, გაითავისოს, რომ საქართველო არის სახელმწიფო, რომელსაც ხალხის მიერ არჩეული მთავრობა მართავს და პრობლემების არსებობის შემთხვევაში ხელისუფლებას მიმართოს და არა გარეშე პირებს.

„ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ" კი კომისიის წინაშე „ქართული ოცნება" და „ნაციონალური მოძრაობა" საბიუჯეტო თანხების გადანაწილებასა და საბიუჯეტო რესურსით საარჩევნო პროცესებზე გავლენის მოხდენაში დაადანაშაულა. **„კვლავ ძალიან ბევრი პრობლემაა რეგიონებში - დაწყებული იმით, რომ სოფლის რწმუნებულები, გამგებლები, კარდაკარ დადიან და „ქართული ოცნების" სასარგებლო აგიტაციას ეწევიან, დამთავრებული პედაგოგების პრობლემებით, რომლებსაც ავტობუსებით ატარებენ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრაზე. ახლა გიგი უგულავამ გადაწყვიტა სოფლებში რაღაც პროდუქტების შეძენა, ამისთვის ბიუჯეტიდან დამატებითი თანხები უნდა გამოიყოს. ეს უკვე „ნაციონალური მოძრაობისთვის" იქნება სასარგებლო. ამ ორმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ საბიუჯეტო სახსრები გადაინაწილა და ისე ახდენენ გავლენას საარჩევნო პროცესზე,"** - ამბობს ლევან ვეფხვაძე.

საკუთარი ინფორმაცია

მთავრობა კონფლიქტის ზონაში

პირველი გვერდიდან

ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, უახლოეს 6 თვეში აუცილებლად დასრულდება გამყოფ ხაზთან მდებარე ყველა სოფლის გაზიფიცირება. უახლოეს კვირებში დაიწყება სოფლების შეშით მომარაგება. ასევე, ინტენსიურად ვმუშაობთ სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემების მოგვარებაზე," - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელ დავით სუჯაშვილის თქმით, შსს-ს ქვედანაყოფები ადგილზე პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს.

„ცალსახად შემიძლია, გითხრათ, რომ ჩვენი ქვედანაყოფები ადგილზე პირნათლად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს და მოსახლეობის უსაფრთხოება დაცულია," - განაცხადა დავით სუჯაშვილმა.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოკუპანტებმა საოკუპაციო ხაზის გადაკვეთის გამო ხურვალეთის მკვიდრი ზაქრო ჯოჯიშვილი დააკავეს. სუჯაშვილის თქმით, ეს ფაქტი 11 ოქტომბერს დილით მოხდა და ზაქრო ჯოჯიშვილის გასათავისუფლებლად ანალიტიკური დეპარტამენტი მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს.

„ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია უკვე ჩავაყენეთ საქმის კურსში, ინფორმაცია მივაწოდეთ, ცხელი ხაზი ავამუშავეთ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები," - განმარტა დავით სუჯაშვილმა.

კომისიის წევრები გორის რაიონის სოფლების შემოვლას 12 ოქტომბერს გააგრძელებენ. გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომა 15 ოქტომბრისთვის არის დაგეგმილი.

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანიც იმყოფებოდა.

ყიფიანი, განათლების სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, დვანის, დიცისა და ერგნეთის სამ სკოლას ესტუმრა და მოსწავლეებისთვის წიგნები და სპორტული ინვენტარი ჩაიტანა.

სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, თითოეულ სკოლას გადაეცა წიგნების კრებულები - „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ", ქართული კლასიკური მწერლობა, სპორტული ინვენტარი - ფეხბურთის, ხელბურთისა და რაგბის ბურთები, კრივის აღჭურვილობა, ფრენბურთის ბადეები, მაგიდის ჩოგბურთის კრებული, ჭადრაკის დაფები და ბადმინტონი.

მინისტრმა სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლებისგან არსებული პრობლემების შესახებ პირადად მოისმინა. როგორც ლევან ყიფიანმა აღნიშნა, რომ აქციას კამპანიური ხასიათი არ ექნება და სამინისტროში ოკუპირებული სოფლების ახალგაზრდობის დახმარების პროგრამა შეიქმნება.

მერიის ინიციატივა

გუშინ გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისის მერია საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობისგან ვაშლს შეიძენს.

თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებით, აქცია საზღვრის პირას მცხოვრები ოჯახების მხარდაჭერას ისახავს მიზნად, რათა ისინი შექმნილი ვითარების გამო შემოსავლის გარეშე არ დარჩნენ.

მისივე თქმით, ამ თხოვნით დედაქალაქის მთავრობას სოფელ აძვის მოსახლეობამ მიმართა. თბილისის მერის განცხადებით, შესყიდული მოსავალი სოციალურად დაუცველ ოჯახებში გადანაწილდება.

გიგი უგულავამ ასევე იმ ბავშვების დახმარებაზეც ისაუბრა, რომლებიც საზღვრისპირა სოფლებში უსახსრობის გამო საჭირო განათლებას ვერ იღებენ. ქალაქის მერის განცხადებით, ეს მოსწავლეები მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სახელოვნებო სკოლებში უფასოდ ისწავლიან.

სერგო რატიანი: წელს სტუდენტებს 5 მილიონი ლარის სახელმწიფო დაფინანსება დააკლდათ

„ნაციონალური მოძრაობის" წევრი სერგო რატიანი აცხადებს, რომ პარლამენტის მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტების მუხლში გათვალისწინებული თანხები, მთავრობის გადაწყვეტილებით, მიზნობრივად არ არის ათვისებული და სტუდენტების დაფინანსებას 5 მილიონი ლარი დააკლდა.

„განათლების კომიტეტის სხდომაზე მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვის დროს დადასტურდა ჩემი ეჭვი, რომ განათლების მინისტრისა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში სახელმწიფო სასწავლო გრანტების მუხლში გათვალისწინებული თანხები სრულად არ იქნა მიზნობრივად ათვისებული და 5 000 000 დააკლდა სტუდენტების დაფინანსებას," - განაცხადა რატიანმა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი პარლამენტის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ და მთავრობის გადაწყვეტილებით გამოყოფილ თანხებს ერთმანეთს ადარებს.

„2013 წელს, სახელმწიფო სასწავლო გრანტების მუხლით გათვალისწინებული იყო 57 560 000 ლარი. პირველი წლის ბაკალავრიატის (გრანტები და უფასო პროგრამები) პროგრამებზე გათვალისწინებული იყო 19 020 000 ლარი. 2013 წლის პირველი სემესტრის ბაკალავრიატის პირველი წლის სტუდენტებისთვის გათვალისწინებული იყო 10 451 000 ლარი. მთავრობის გადაწყვეტილებით განაწილდა მხოლოდ 9 510 000 ლარი. 2013-2014 წლებში ბაკალავრიატის პირველი წლის სტუდენტებისთვის გათვალისწინებული იყო 29 020 000 ლარი. მთავრობის გადაწყვეტილებით, დაფინანსდება მხოლოდ 19 020 000 ლარით. მთავრობის გადაწყვეტილებით, სტუდენტებს 2013 წელს დააკლდათ 5 000 000 ლარის სახელმწიფო დაფინანსება. 2013-2014 სასწავლო წელს კი დააკლდებათ 10 000 000 ლარი. დაახლოებით 8 000 სტუდენტმა ვერ მიიღო სასწავლო გრანტი," - განმარტავს დეპუტატი.

იგი მთავრობის წევრებს, კონკრეტულად კი განათლების ყოფილ მინისტრს მოუწოდებს, საზოგადოებას განუმარტოს, რატომ შეიცვალა პარლამენტის გადაწყვეტილება.

„მოვუწოდებ მარგველაშვილს, აუხსნას სტუდენტებს და საზოგადოებას, თუ რატომ მისცა საკუთარ თავს უფლება, შეეცვალა პარლამენტის გადაწყვეტილება და დაეკლო სტუდენტებისთვის წელს - 5 მილიონი და მიმდინარე სასწავლო წელს 10 მილიონი ლარი. გარდა ამისა, ასახსნელია, რაში გაიხარჯა ეს თანხა," - აღნიშნავს რატიანი.

დეპუტატის განცხადებას განათლების სამინისტროში არ ადასტურებენ. როგორც უწყებიდან news.ge-ს შეატყობინეს, 10,200,000 ლარი, რომელიც, დადგენილების მიხედვით, უფასო ფაკულტეტების პროგრამული დაფინანსებისათვის არის გათვალისწინებული, 2013-2014 სასწავლო წელს მოიცავს და არა - 2013 ფისკალურ წელს.

„შესაბამისად, განცხადება, რომ აღნიშნული თანხიდან სტუდენტებზე დაიხარჯება მხოლოდ 5 მილიონი ლარი, სიმართლეს არ შეესაბამება. აღნიშნული 10,200,000 ლარიდან ნაწილი მოხმარდება 2013 ფისკალური წლის ხარჯების დაფინანსებას, დანარჩენი კი გათვალისწინებულია 2014 წლის ხარჯებისთვის.

2013-2014 სასწავლო წლისთვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოცულობებისა და ოდენობების და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ მთავრობის დადგენილების მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობა განისაზღვრა 12 600 000 ლარით, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1 417 915 ლარით მეტია.

საერთო ჯამში, 2013-2014 სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსების მოცულობა, 2012-2013 სასწავლო წელს ჩარიცხულ სტუდენტებთან შედარებით, გაიზარდა 11 617 915 ლარით.

ასევე გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს დაფინანსდა, ჯამში, 9090 სტუდენტი, რაც გასულ წელთან შედარებით დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობაზე 2450-ით მეტია," - განაცხადეს სამინისტროში.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

THE ECONOMIST: „ბურჯანაძე აცხადებს, რომ გამარჯვებაზე ნაკლები შედეგი გაყალბებაზე მიანიშნებს"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სტატიის ავტორი ასევე ციტირებს მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შიდა და გარე საფრთხეების ფონზე ახალი რეალობის დამყარების სიჩქარეში შეცდომები დაუშვეს.

„ამ შეცდომების ერთ-ერთი ნაწილი გასული წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებასთან" მარცხია. მას 56 წლის კარჩაკეტილი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი უძღვება, რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა. ბევრ ქართველს გაუხარდა, რომ ძალაუფლებაზე სააკაშვილის მონოპოლია მოიშალა," - ნათქვამია სტატიაში.

როგორც ბრიტანული გამოცემა წერს, 27 ოქტომბერს საქართველო ახალ პრეზიდენტს აირჩევს და მისი უფლებები უფრო შემცირებული იქნება ახალი კონსტიტუციის თანახმად, რის შედეგადაც ქვეყანა საპრეზიდენტოდან საპარლამენტო რესპუბლიკად იქცა.

„მაგრამ, აღფრთოვანებისა და იმედის ნაცვლად, საქართველოში მღელვარებამ დაისადგურა. საპრეზიდენტო არჩევნებში მთავარი პრეტენდენტია გიორგი მარგველაშვილი, განათლების ყოფილი მინისტრი, რომლის მთავარი მახასიათებელი პოლიტიკური გამოცდილებისა და ამბიციის ნაკლებობაა. ბიძინა ივანიშვილმა ის დასავლეთზე ორიენტირებულ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას ნაცვლად შეარჩია, რომელიც მისი პოლიტიკური ამბიციებისთვის გარიყა," - ნათქვამია სტატიაში.

ავტორი წერს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატია დავით ბაქრაძე - მშვიდად მოსაუბრე, პარლამენტის ყოფილი სპიკერი, რომელიც მშვიდად ყოფნას ამჯობინებს და რომლის რეიტინგიც, დაახლოებით, 18 პროცენტია.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, კიდევ ერთი კანდიდატია პოპულისტი ნინო ბურჯანაძე, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ცოცხალ ოპოზიციურ ძალად მიიჩნევს.

მასალის ავტორის თქმით, ერთ დროს სააკაშვილის მოკავშირე ბურჯანაძე მის მწვავე ოპონენტად იქცა.

„მოსკოვთან გარიგებებისა და თბილისში ძალადობრივი შეტაკებების შემდეგ, ბურჯანაძე თითქოს პოლიტიკურად მოკვდა. ახლა ბევრი ქართველი წუხს, რომ წარსული განმეორდება. მისი თვალშისაცემი კამპანია იზიდავს მათ, ვინც მიიჩნევს, რომ ივანიშვილი ძალიან რბილად ეპყრობა სააკაშვილს. მიუხედავად იმისა, რომ 10-პროცენტზე ნაკლები რეიტინგი აქვს, ბურჯანაძე აცხადებს, რომ ნებისმიერი შედეგი, რომელიც გამარჯვებაზე ნაკლები იქნება, გაყალბებაზე მიანიშნებს. ასევე არ არის გამორიცხული, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართოს და საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოწოდებებიც გაისმას," - ნათქვამია სტატიაში.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, გაურკვევლობის მთავარ წყაროდ მაინც ბიძინა ივანიშვილი რჩება, რომელმაც გასულ თვეს მთელი ქვეყანა შოკში ჩააგდო იმის განცხადებით, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრემიერ-მინისტრის პოსტს დატოვებს და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე იზრუნებს.

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ ივანიშვილის კოალიციის წევრები, მათ შორის დავით უსუფაშვილი - პარლამენტის გონიერი სპიკერი, მშვიდად გამოიყურებიან, მაგრამ სააკაშვილის მხარდამჭერები ღელავენ.

სტატიის ავტორი ასევე ციტირებს გიგა ბოკერიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ივანიშვილს ხელისუფლებაში დარჩენა სურს, მაგრამ - ანგარიშვალდებულების გარეშე და არსებობს საფრთხე, რომ მისი გადადგომა ხელისუფლებაში ვაკუუმს შექმნის და ქაოსს გამოიწვევს.

სტატიის თანახმად, ქართველი ამომრჩევლები, რომლებსაც ივანიშვილის ქონების იმედი ჰქონდათ, თავს მოტყუებულად გრძნობენ და 70 პროცენტი აცხადებს, რომ ივანიშვილის ვადაზე ადრე გადადგომას არ ეთანხმება.

„ივანიშვილი ხელისუფლებაში კანონის უზენაესობისა და სამუშაო ადგილების შექმნის დაპირებით მოვიდა, მაგრამ მისი მთავარი მიზანი სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების დანგრევა იყო, ხშირად შერჩევითი სამართლის გზით. არჩევნების შემდეგ დააკავეს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელიც პატიმრობაშია, რადგან მის სასამართლო პროცესს მუდმივად დებენ. თანამდებობიდან გაათავისუფლეს ან შეითხნილი ბრალდებით დააკავეს „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი, რამდენიმე ადგილობრივი გამგებელი," - ნათქვამია სტატიაში.

ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ კრიტიკოსთა თქმით, ივანიშვილი, სააკაშვილის მემკვიდრეობის დანგრევის მცდელობით, მართვის მექანიზმს ანგრევს და მხოლოდ მცირე პროგრესი შეინიშნება ისეთ საკითხებში, რომლებიც ქართველებს აღელვებთ, მათ შორის სამუშაო ადგილების შექმნისა და ტერიტორიული მთლიანობის მხრივ.

„ეკონომიკა შეფერხებულია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კლებულობს, რუსი ჯარისკაცები კი სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მავთულხლართებს აგებენ და ახალ საზღვრებს ავლებენ. მედიაზე პოლიტიკური ზეწოლა გაიზარდა. ორი პოლიტიკური თოქ-შოუ დაიხურა, ცოტა ხნის წინ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე კი ბიძინა ივანიშვილმა მათ კრიტიკული სტატიებისთვის უსაყვედურა (ივანიშვილმა და მისი მინისტრების უმრავლესობამ ასევე უარი თქვეს „ეკონომისტთან" ინტერვიუზე)," - ნათქვამია სტატიაში.

ამასთან, როგორც ავტორი აღნიშნავს, ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ ივანიშვილმა ქართული საზოგადოების ბნელი ძალები გააღვიძა - მათ შორის რადიკალი მემარჯვენე ნაციონალისტები და ნახევრად კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებმაც ცოტა ხნის წინ ჰომოსექსუალთა საწინააღმდეგო შეტაკებები მოაწყვეს, იცავდნენ რა „ტრადიციულ მართლმადიდებლურ ფასეულობებს" გარყვნილი დასავლური ზეგავლენისგან. სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ მოიმატა ანტისომხურმა და ანტიმუსლიმურმა რიტორიკამ, ციხეებიდან კი გამოუშვეს კრიმინალები, რომლებიც ქვეყანაში დათარეშობენ.

სტატიის ავტორი ასევე ციტირებს ჟურნალისტ შორენა შავერდაშვილის კომენტარს, რომელიც ამბობს, რომ ყველაფერი, რის წინააღმდეგაც ქართველი ხალხი იბრძოდა, უკან დაბრუნდა. მისივე თქმით, ხალხი დაიღალა წინა მთავრობისგან, მაგრამ ის რაც მიიღეს, ნამდვილად არ არის უკეთესი.

„ბევრი ახალგაზრდა, პროდასავლური ქართველი მიიჩნევს, რომ მათი ქვეყანა რეგრესს განიცდის. ივანიშვილის მცდელობა, უკანასკნელი ათი წელი წარუმატებლად წარმოაჩინოს, შეურაცხყოფს მათ მძიმე შრომას. ბევრი ნიჭიერი, სამშობლოდან იძულებით წასული ქართველი ათი წლის წინათ სამშობლოში ოპტიმიზმით სავსე დაბრუნდა. ახლა იგივე ხალხი ქვეყნის დატოვებაზე საუბრობს," - ნათქვამია ბრიტანული გამოცემის სტატიაში.

ძნელი სათქმელია, დამთხვევაა თუ სტატიის შესახებ გაკეთებული კომენტარია შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის გუშინდელი განცხადება - კერძოდ, მერაბიშვილმა საკუთარი ფეისბუქის გვერდზე დაწერა, რომ რუსეთი საბაჟო კავშირში გაწევრიანებაზე საქართველოს დათანხმებას 28 ოქტომბერს ეცდება.

„ვილნიუსის სამიტის წინ რუსეთმა უკვე გამოუცხადა სავაჭრო ომი უკრაინას და მოლდოვას და დაიყოლია სომხეთი საბაჟო კავშირში გაწევრიანებაზე. საქართველოს ჯერი, როგორც ჩანს, 28 ოქტომბერს დადგება, როდესაც არჩევნების მეორე დღეს, გაყალბების საბაბით, ნინო ბურჯანაძის ხელით, რუსეთს განზრახული აქვს თბილისში არეულობის მოწყობა, რაც, დაახლოებით, 26 მაისის სცენარის განმეორება იქნება. ამ მოვლენების გენერალური რეპეტიცია ნინო ბურჯანაძეს დაგეგმილი აქვს 24 ოქტომბერს.

კრემლი არ კმაყოფილდება დიცსა და დვანში მავთულხლართების გავლებით და სურს, ბარიკადები ამჯერად უკვე რუსთაველის გამზირზე აღმართოს. რუსეთის ძალადობრივი პოლიტიკა საქართველოს მიმართ არ იცვლება - მას დაგეგმილი აქვს შიდაარეულობის მოწყობის გზით შეაფერხოს საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი.

მინდა, მოვუწოდო ყველას, პირველ რიგში, პოლიციელებს, არავის მისცენ ქვეყანაში არეულობის მოწყობის საშუალება," - აღნიშნულია მერაბიშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე დეზინფორმაციას უწოდებს ყოფილი პრემიერის ვანო მერაბიშვილის განცხადებას, რომლის თანახმადაც, ბურჯანაძე რუსეთის დავალებით და არჩევნების გაყალბების საბაბით თბილისში არეულობის მოწყობას გეგმავს.

„ეს სრული დეზინფორმაციაა. ვანო მერაბიშვილს 26 მაისის ბრალდებები სრულად რომ არ დაუწყვეს ცხვირწინ, ამიტომ ბედავს ამდენ ლაპარაკს. მაგრამ 27 ოქტომბერს, როცა ხელისუფლებაში მოვალ, მე მას ვპირდები, წარმოვადგენ ყველა იმ ობიექტურ მასალას, რომლის საფუძველზეც ვანო მერაბიშვილიც, მიხეილ სააკაშვილიც და მათი მეგობრებიც კარგა ხნით, მყარად ჩასხდებიან ციხეში," - აცხადებს ბურჯანაძე და The Economist-ის სტატიაზე კომენტარს არ აკეთებს.

ᲗᲝᲗᲐ ᲣᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲚᲝᲑᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ

შინაგან საქმეთა სამინისტროში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საოკუპაციო ხაზთან შექმნილი ვითარება გააცნეს. როგორც სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ანალიზისა და კოორდინაციის სამმართველოს უფროსი კახა ქემოკლიძე ამბობს, შეხვედრის ამოცანაა, არასამთავრობო სექტორმა ის ზუსტი ინფორმაცია მიიღოს, რომელიც შსს-ს გააჩნია.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი თამუნა აბაზაძე შეხვედრის დაწყებამდე იმის შესახებ საუბრობდა, შსს-ს რა გეგმებით დაინტერესდებოდა. როგორც იგი აღნიშნავდა, სახლებისა და მიწის ნაკვეთების მავთულხლართებს მიღმა დარჩენით საკუთრების უფლება ირღვევა.

ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის" წარმომადგენელი ალუ გამახარიას თქმით, რუსებმა საქართველოს ტერიტორიაზე ბერლინის კედლის მშენებლობა დაიწყეს. **„გვაინტერესებს, ამ მიმართულებით მთავრობა და შსს რა ზომებს იღებენ,"** - აღნიშნა მან.

შეხვედრის შემდეგ შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა, რომელიც შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს რეფორმების ასოციაციას" წარმოადგენდა, ჟურნალისტებთან საუბარში ყურადღება საოკუპაციო ძალების გეგმებზე გაამახვილა. **„ყველაფერი ნათელია, კითხვები გვქონდა და პასუხებიც მივიღეთ. სამწუხაროა, რომ ჩვენი, ყველას ვარაუდი ერთმანეთს ემთხვევა და არც ერთი მათგანი დადებითი არ არის. რუსები წლის ბოლომდე სამხრეთ ოსეთის შემოღობვის პროცესის დასრულებას აპირებენ,"** - თქვა შოთა უტიაშვილმა.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი ალეკო ცქიტიშვილი ამბობს, რომ შეხვედრაზე დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებიდან ზოგი ისეთი დეტალი გაირკვა, რაც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს განსაკუთრებით აინტერესებთ. **„მაგალითად, საუბარი იყო იმის შესახებ, რა ლოგიკით ხელმძღვანელობს რუსეთის საოკუპაციო ძალა, როდესაც მავთულხლართებს ავლებს ან რას ეფუძნება მავთულხლართების ზოლი. შსს-დან გვიპასუხეს, რომ რუსეთის საოკუპაციო ძალებს არანაირი ლოგიკა არა აქვთ,"** - ამბობს ცქიტიშვილი.

კახა კემოკლიძე აღნიშნავს, რომ შსს-ს სურს, მთავრობის სტრატეგია კოორდინირებული იყოს. **„შეხვედრაზე ტერმინოლოგიის შესახებ ვისაუბრეთ - ეს ოკუპაციის გაგრძელებაა,"** - შენიშნავს ქემოკლიძე. მისი თქმით, საჭიროა სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული მუშაობა და საერთაშორისო საზოგადოების გააქტიურება.

შს სამინისტროში აცხადებენ, რომ მათ სამოქალაქო სექტორს კონკრეტული მასალები წარუდგინეს. სამინისტროს ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონის მიმართულებით რუსეთის საოკუპაციო ძალები ამ ეტაპზე მავთულხლართებსა და ღობეებს არ ამონტაჟებენ. აფხაზეთის საოკუპაციო ხაზზე კი თხრილები და სხვადასხვა ზღუდეები კეთდება.

საკუთარი ინფორმაცია

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ „ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ" ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲓᲐᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲐ

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა გუშინ სხდომა თბილისის იუსტიციის სახლში გამართა.

კომიტეტმა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ორგანიზებით შეგროვებული საქართველოს 37 400 მოქალაქის ხელმოწერის საფუძველზე პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა შემდგომი მსვლელობისთვის ბიუროს გადასცა. კომიტეტმა ხელმოწერების ნამდვილობა დაადასტურა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 177-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნის თანახმად, 30 000 ხელმოწერის საფუძველზე პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენაა შესაძლებელი. „ქრისტიან-დემოკრატების" წინადადების ინიცირებაზე უამრავლესობამ უარი თქვა, რის შემდეგაც პარტიამ ხელმოწერები შეაგროვა. უმრავლესობაში „ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივას არ იზიარებენ, თუმცა პროცედურის მიხედვით, კანონპროექტი ჯერ საკომიტეტო მოსმენებდე, შემდეგ კი პლენარულ სხდომაზე განიხილება.

რაც შეეხება საკანონმდებლო ინიციატივას, „ქრისტიან-დემოკრატები" საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდიკის შეცვლას ითხოვენ. მოქმედი მეთოდით, საარსებო მინიმუმი 141 ლარია, ხოლო „ქრისტიან-დემოკრატების" მიერ მომზადებული პროექტის თანახმად, 250 ლარს შეადგენს.

კომიტეტს მხოლოდ ხელმოწერების ნამდვილობის საკითხზე უნდა ემსჯელა, მაგრამ დეპუტატები კანონპროექტის შინაარსობრივ მხარესაც შეეხნენ. ფრაქცია „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარების" თავმჯდომარემ კახა ოქრიაშვილმა „ქრისტიან-დემოკრატების" პროექტი პოპულისტურ დოკუმენტად შეაფასა და აღნიშნა, რომ საჭიროა, პარლამენტმა ანტიპოპულისტური კანონმდებლობა შეიმუშავოს. **„ერთია სურვილი და მეორეა შესაძლებლობები. თუკი სურვილები შესაძლებლობებთან შესაბამისობაში არ მოდის, ასეთი საკითხების განხილვაზე პარლამენტმა დრო არ უნდა დაკარგოს და პოლიტიკურ ძალებს შემდგომი სპეკულაციების საშუალება არ უნდა მიეცეთ. ძალიან მინდა, რომ საარსებო მინიმუმი იყოს არა 250 ლარი, არამედ 570 ლარი, მაგრამ არსებობს მისი 570 ლარამდე გაზრდის შესაძლებლობა?"** - აღნიშნავს კახა ოქრიაშვილი

დარგობრივი ეკონომიკის ადა ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით შემოთავაზებული უნდა იყოს კონკრეტული ფორმულა, რომლის მიხედვითაც საარსებო მინიმუმის ოდენობა განისაზღვრება.

კომიტეტის სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებებს „ქრისტიან-დემოკრატებმა ჟურნალისტებთან საუბარში უპასუხეს. **„დღეს „ქართულ ოცნებას" გამოცხადებული აქვს, რომ საარსებო მინიმუმი უფრო ნაკლებია, ვიდრე პენსია. ის მეთოდოლოგია, რომლითაც შევარდნაძის მთავრობა საარსებო მინიმუმს ითვლიდა, დღესაც შენარჩუნებულია. დეპუტატებს, რომლებიც სოციალური პოლიტიკის ფუნდამენტურ საკითხებში ჯერ კიდევ არ არიან გარკვეულნი, ერთ რამეს ვურჩევ. პირადად მივცემ 141 ლარს ყველა იმ დეპუტატს, რომელიც ჩვენი ინიციატივის წინააღმდეგია და არათუ ერთი თვე, ერთი კვირაც თუ გაძლებენ ამ 141 ლარით, ამ შემთხვევაში მე, როგორც საკითხის ინიციატორი, მზად ვარ, ეს საკანონმდებლო წინადადება პარლამენტიდან უკან გავიტანო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ჩვენს კანონპროექტს მხარი უნდა დაუჭირონ,"** - ამბობს „ქრისტიან-დემოკრატების" წევრი ლევან ვეფხვაძე.

საკუთარი ინფორმაცია

უშიშროების საბჭო რეზოლუციის მაგივრად წერილს გაავრცელებს

გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, სირიის ქიმიური იარაღის განადგურების შესახებ გაეროს გენერალურ მდივან ბან კი მუნის ინიციატივებზე ახალი რეზოლუცია აღარ მიიღოს და „სპეციალური წერილი გაავრცელოს.“ აღნიშნულის შესახებ გაეროში აზერბაიჯანის მუდმივმა წარმომადგენელმა აგშინ მეჰდიევმა განაცხადა, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა. მისი თქმით, წერილი უახლოეს მომავალში გავრცელდება.

7 ოქტომბერს გაეროს გენერალური მდივნის ბან კი მუნის რეკომენდაციების პაკეტი გამოქვეყნდა. ბან კი მუნი გაეროს უშიშროების საბჭოს დამასკოში და კვიპროსზე გაეროსა და ქიმიური იარაღის აკრძალავის ორგანიზაციის (ქიაო) ერთობლივი ბაზების შექმნას სთავაზობს. ბან კი მუნის აზრით, ამ მისიაში გაეროდან და „ქიაო“-დან 100-100 ადამიანი უნდა იყოს წარმოდგენილი. აღნიშნულმა მისიამ სირიაში არსებული მომწამვლელი ნივთიერებების, მათი მწარმოებელი და შემნახველი ადგილების განადგურება ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში უნდა შეძლოს.

გაეროს დიპლომატები აღნიშნავენ, რომ გენერალური მდივნის რეკომენდაციებს წინააღმდეგობას არ გაუწევენ და ამ რეკომენდაციების რაც შეიძლება სწრაფად რეალიზება იგეგმება. სირიაში კი ადამიანების ხოცვა გრძელდება, ამჯერად ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები ყურადღებას ამახვილებენ ისლამისტი ამბოხებულების დანაშაულზე. „ჰიუმან რაიტს უოტჩმა“ პარასკევს განაცხადა, რომ სირიელმა ამბოხებულებმა, ლატაკიის პროვინციაში, 190 ადამიანი მოკლეს და ორასზე მეტი მძევლად აიყვანეს. ამ ხალხის უმეტესობა იმ შეირაღებულმა მებრძოლებმა დახოცეს, რომლებსაც „ალ ქაიდასთან“ აქვთ კავშირი.

ლიბიის პრემირმა ხალხს სიმშვიდისაკენ მოუწოდა

ლიბიის პრემიერ-მინისტრმა ალი ზეიდენმა, რომელიც გუშინწინ შეიარაღებულმა მებრძოლებმა გაიტაცეს და რამდენიმე საათში გაათავისუფლეს, საკუთარ მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა. ცნობისათვის - პრემიერი ტრიპოლის ერთ-ერთ სასტუმროში უცნობმა შეირაღებულმა პირებმა გაიტაცეს. მისი გატაცების მოტივი კვლავ გაურკვეველი რჩება. მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე პრემიერმა მადლობა გადაუხადა იმ პირებს, ვინც მისი გათავისუფლების ოპერაციაში მონაწილეობდა.

ლამპედუზასთან გემის ჩაძირვას 311 ადამიანი ემსხვერპლა

რამდენიმე დღის წინ იტალიის კუნძულ ლამპედუზასთან გემი ჩაიძირა, რომელზეც აფრიკელი მიგრანტები იმყოფებოდნენ. ბოლო მონაცემებით, გემის ჩაძირვას 311 ადამიანი ემსხვერპლა. იტალიის სანაპირო დაცვის წარმომადგენლის თქმით, ჩაძირული გემის ირგვლივ სამძებრო სამუშაოები კვლავ გაგრძელდება. არსებული ინფორმაციით, ამ დროისთვის უგზო-უკვლოდ დაკარგულად 50 ადამიანი მიიჩნევა. დაღუპულებს ყველა წესების დაცვით დაკრძალავენ.

ევროპას ეგვიპტელი „ეკონომიკური მიგრანტები“ აშინებენ

ევროკავშირის ქვეყნები შეშფოთებულები არიან იმის გამო, რომ ეგვიპტეში პოტენციური ეკონომიკური კოლაფისის შედეგად ჩრდილოეთ აფრიკიდან ევროკავშირის ქვეყნებს მიგრანტთა ახალი ნაკადი მიაწყდება. „EUobserver“-ის ცნობით, ამ თემაზე ევროკავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის დიპლომატებმა ცოტა ხნის წინ ბრიუსელში შეხვედრისას იმსჯელეს. „ეს არის 90-მილიონიანი მოსახლეობის ქვეყანა ევროპის სამხრეთით. თუ ვითარება უარესობისკენ შეიცვალა, სად წავლენ ისინი? ისინი არ წავლენ აფრიკაში ან სკანდინავიაში. ისინი ისეთ ქვეყნებში წავლენ, როგორიც იტალია და საბერძნეთია,“ - განუცხადა ერთ-ერთმა დიპლომატმა „EUobserver“-ს.

ამერიკამ ცოტა ხნის წინ ეგვიპტეს ყოველწლიური 1,3-მილიარდიანი სამხედრო დახმარების ნაწილი შეუწყვიტა, რაც ქვეყანაში „მუსლიმი ძმების“ მხარმდაჭერების მიმართ მკაცრი ზომების გამოყენებამ გამოიწვია. საგარეო საქმეებში ევროკავშირის კომისარმა კეტრინ ეშტონმა, რომელიც 3 ოქტომბერს კაიროში იმყოფებოდა, ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ის ძალიან შეშფოთებულია ქვეყანაში ბოლოს მომხდარი დაპირისპირების გამო, რასაც 50 მოქალაქე და უსაფრთხოების ძალების ათი წარმომადგენელი ემსხვერპლა.

მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ისრაელის არმიის პოლკოვნიკი მოკლეს

ისრაელის მედიის ცნობით, პარასკევს, ღამით, პალესტინელებმა იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ისრაელის არმიის პოლკოვნიკი მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, ნაჯახებით შეირაღებული პალესტინელების ჯგუფი იმ სახლს დაესხა თავს, სადაც პოლკოვნიკი მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა. ქალი ფეხშია დაჭრილი. მისი თქმით, მან გაქცევა და პოლიციის გამოძახება მოასწრო, თუმცა მეუღლის გადარჩენა ვეღარ შეძლო.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, შესაძლოა, ვოლფგანგ შოიბლე გახდეს

თუ გერმანიაში დიდი კოალიცია ჩამოყალიბდება და სოციალ-დემოკრატები ფინანსთა მინისტრის თანამდებობას მიიღებენ, მაშინ ვოლფგანგ შოიბლე, შესაძლოა, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნოს. აღნიშნულის შესახებ „შპიგელი“ წერს. „EUobserver“-ის ინფორმაციით კი, ეს თანამდებობა შესაძლოა, სოციალური საქმეების ახლანდელმა მინისტრმა ურსულა ვონ დერ ლეიენმა დაიკავოს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ობამამ და რესპუბლიკელებმა მოლაპარაკებები განაახლეს

პირველი გვერდიდან

სახელმწიფო უწყებების ნაწილის დაკეტვა და რიგი ფუნქციების შესრულების დროებით შეჩერება, რადგან ასეთი ვითარება უკვე ათ დღეზე მეტხანს გაგრძელდა, სხვადასხვა ფორმებით უკვე თავის თავზე იგრძნო ბევრმა ამერიკელმა - სოციოლოგიური გამოკითხვებით მოსახლეობის 80-83 პროცენტმა. თუმცა ეს შეფერხება არაფერია იმ ეკონომიკურ პრობლემებთან ამერიკისა და მთელი მსოფლიოსთვისაც, თუ შეთანხმების მიღწევა და სახელმწიფო სესხის ზედა ზღვრის აწევა 17 ოქტომბრამდე ვერ მოხერხდება. 5 დღეში აშშ-ს ხელისუფლებას ვალდებულებების გასასტუმრებლად ყველა რესურსი ეწურება და შეიძლება, „ტექნიკური დეფოლტის“ გამოცხადება მოუწიოს, აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.

თეთრ სახლში გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ აგრეთვე ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, ფინანსთა მინისტრი ჯეიკობ ლიუ და აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კიდევ რამდენიმე მრჩეველი. ერთობლივ გადაწყვეტილებამდე, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნებოდა, ხუთშაბათს ისევ ვერ მიაღწიეს, თუმცა ობამას ადმინისტრაციაც და რესპუბლიკელებიც შეხვედრით კმაყოფილები ჩანდნენ. ფრთხილი ოპტიმიზმის გამოხატვის საფუძველი ორივე მხარეს აღმოაჩნდა. ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენლის ჯეი კარნის სიტყვებით, გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ პრეზიდენტი იმედოვნებს პროგრესის მიღწევას შემდგომი დისკუსიის დროს. კარნიმ შეხვედრას ნაყოფიერი უწოდა.

ობამა და დემოკრატები შეხვედრამდე აცხადებდნენ, რომ მხარს არ დაუჭერდნენ რესპუბლიკელების მიერ შეთავაზებულ სქემას, რომლის თანახმადაც მცირე ოდენობით მოხდებოდა ვალის ზედა ზღვრის აწევა, მთავრობას ეს ფული, დაახლოებით, თვენახევარი რომ ჰყოფნოდა. ეს ქვეყანას თავიან აიცილებს დეფოლტს. ამ პერიოდში კი მხარეები შეძლებდნენ, ბიუჯეტზე მოლაპარაკებები უფრო სერიოზულად ეწარმოებინათ. ობამას სურს, რომ კონგრესმა 1,1 ტრილიონი დოლარით მაინც აწიოს ზედა ზღვარი - ეს ერთი წლის მარაგია - და თან მთავრობას სრულფასოვანი მუშაობის საშუალება მისცეს, თუნდ რამდენიმეთვიანი ბიუჯეტით. იდეაში, ობამას სურს, კონგრესს ააწევინოს სესხის ზედა ზღვარი მომავალ არჩევნებამდე. ალბათ იგულისხმება კონგრესის შუალედური არჩევნები, როდესაც საკონონმდებლო ორგანო ნაწილობრივ უნდა განახლდეს და შეიძლება, იქ კონფიგურაცია ცოტა შეიცვალოს. ამის შემდეგ ის თანახმაა ნებისმიერ მოლაპარაკებებზე. თუმცა ამ შემთხვევაში მის ოპონენტ რესპუბლიკელებს ზეწოლისთვის ბერკეტი აღარ ექნებათ ხელში. შესაბამისად კი, სოციალურ საკითხებში ობამას და დემოკრატებს ვერანაირ დათმობაზე ვერ დაიყოლიებენ. ლაპარაკია ისევ ყბადაღებული „ობამაკეარის“ ერთი წლით შეჩერებაზე.

წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელი სპიკერის ჯონ ბონერის თანაშემწემ თქვა, რომ ობამას მაგიდაზე უდევს „ვალის ჭერის“ აწევის „სუფთა“ პროექტი, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე. ბიუჯეტი კი ისევ მოლაპარაკებების საგანია. რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ ობამამ მათი ბოლო წინადადებები არც უარყო და არც დათანხმდა. გუშინ, პარასკევს, დანიშნული იყო მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი. წინასწარი ოპტიმისტური გათვლით, ეს სიგნალი კი რესპუბლიკელებისგან მოდიოდა, უკვე გუშინვე შესაძლო იყო კომპრომისის მიღწევა. თუმცა ჩვენი გაზეთის გამოსვლის მომენტისთვის (სასაათო სარტყლებში არსებული განსხვავების გამო) შეხვედრის შედეგების შესახებ ახალი ცნობა არ გავრცელებულა.

ამ კრიზისმა ამერიკელებზე გამაღიზიანებლად იმოქმედა და ორივე პარტიის რეიტინგი მკვეთრად დავარდა, ამ მხრივ უფრო რესპუბლიკელები დაზარალდნენ, ხალხი მათ უფრო აბრალებს კრიზისის შექმნას, მაგრამ საკმაოდ „საშიშ“ ნიშნულამდე ჩამოვიდა პირადად პრეზიდენტ ობამას რეიტინგიც. ამერიკელების 53 პროცენტს არ მოსწონს, თუ როგორ ართმევს პრეზიდენტი თავს საკუთარ მოვალეობებს. მისი რეიტინგი კი 37 პროცენტამდე დაეცა. ობამას კრიტიკოსები კმაყოფილები აღნიშნავენ, რომ სულ ერთი პროცენტით ნაკლები - 36 ჰქონდა ჯორჯ ბუშ უმცროსს 2009 წელს, როცა მეორე ვადას ამთავრებდა. ობამამ კი „ამ რეიტინგით“ ქვეყანა კიდევ სამი წელი უნდა მართოს.

ნობელის პრემია ქიმიურ იარაღთან ბრძოლისთვის გაიცა

ნობელის 2013 წლის პრემია მშვიდობის დარგში მიენიჭა ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ ურთულეს ამოცანას შეუდგა - სირიის ქიმიური იარაღის არსენალის განადგურებას. ამის შესახებ ნობელის პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ ტურბიორნ იაგლნდმა განაცხადა. თუმცა პრემია მხოლოდ ამ კონკრეტული ამოცანისთვის არ გაცემულა. ორგანიზაციას პრემია მისცეს მსოფლიოში ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის მიზნით გაწეული ფართო საქმიანობისთვის. ოქროს მედლისა და 8 მილიონი შვედური კრონის (1,25 მილიონი დოლარი) ოდენობის ფულადი პრემიის გადაცემა ნორვეგიის დედაქალაქში 10 დეკემბერს მოხდება.

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონვენციის შესრულებაზე მეთვალყურეობისათვის 1997 წელს დაარსდა. ორგანიზაცია დიდი არ არის და მისი შტაბბინა ჰაგაში მდებარეობს. ერთი კვირის წინ ორგანიზაციის ექსპერტების მეთვალყურეობით პრაქტიკულად დაიწყო სირის ქიმიური არსენალის ლიკვიდაციის პროცესი, რაც ამ ქვეყანამ ივალდებულა და რის განსახორციელებლადაც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაა მიღებული (ამის შესახებ კარგად არის ცნობილი „24 საათის“ მკითხველისთვის).

ეს პრემია ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის დამსახურების აღიარებაა, რომელიც პასუხს აგებს განიარაღების სფეროში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საერთაშორისო შეთანხმების რეალიზაციაზე. ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის ხელმოწერის შემდეგ მომწამვლელი ნივთიერებების მსოფლიო მარაგის 80 პროცენტის განადგურება მოხერხდა.

მსოფლიო თანამეგობრობის ზეწოლის შედეგად სირიამ აღიარა, რომ ქიმიური იარაღის უზარმაზარ მარაგს ფლობს და კონვენციასთან მიერთებისთვის მზადყოფნა გამოთქვა. შესაბამისი განაცხადი გაეროში სირიამ 14 სექტემბერს გაგზავნა. პროცედურა ერთ თვეში მთავრდება და 14 ოქტომბერს სირია კონვენციასთან მიერთებულ 113-ე სახელმწიფოდ ოფიციალურად გამოცხადება. თუმცა სიტუაციის ექსტრემალურობიდან გამომდინარე, ოფიციალურმა დამასკომ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება განაცხადის შეტანისთანავე დაიწყო.

წლევანდელ შემთხვევას მთლიანად ვერ დავარქმევთ ნობელის პრემიის ავანსად მიცემას, როგორც ეს ობამას შემთხვევაში იყო, მაგრამ ბოლო კვირებში უაღრესად აქტუალურმა თემამ - სირიის ქიმიური არსენალის განადგურების აუცილებლობამ ნამდვილად იქონია გავლენა ნობელის პრემიების მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილებაზე.

წელს ნობელის პრემიაზე მშვიდობის დარგში წარდგენილი იყო კანდიდატების რეკორდული რაოდენობა - 259. მთლიანი სია გასაიდუმლოებულია (საზოგადოებისთვის ცნობილია მხოლოდ საჯაროდ წარდგენილ პირთა თუ ორგანიზაციათა ვინაობა), ხოლო მომავალი ლაურეატების შესახებ მედიაში გაკეთებული პროგნოზები ხშირად არ დასტურდება. გავრცელებული ინფორმაციით, აქტივისტების სხვადასხვა ჯგუფებმა წელს ამ პრემიაზე წარადგინეს: 16 წლის პაკისტანელი ბლოგერი გოგონა მალალა იუსუფზაი, რომელიც ქალების განათლების უფლებისთვის იბრძვის; ექიმი დენის მუკვეგე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რომელიც გაუპატიურების მსხვერპლებს ეხმარება; ბრედლი მენინგი, რომელიც წელს გაასამართლეს აშშ-ში სკანდალურ საიტ „ვიკილიკსისთვის“ ამერიკის საიდუმლო დოკუმენტების გადაცემისთვის და სხვა. არიან კანდიდატები - ძირითადად, უფლებადამცველები სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებსაც ბოლო წლებში სისტემატიურად ასახელებენ ნომინანტებად. ასევე რამდენიმე სახელმწიფოს პრეზიდენტს, ფაქტობრივად, ყოველ წელს ასახელებენ კანდიდატად მისივე სახელმწიფოს რიგი ორგანიზაციები ან უცხოეთში მდებარე „ლობისტური“ დაწესებულებები. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სულ რადენიმე დღის წინ, წლევანდელ ამ პრემიაზე რუსეთის ერთ-ერთმა ორგანიზაციამ ვლადიმირ პუტინიც წარადგინა. თუმცა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ პუტინი ჯილდოების მიღების დიდი მოყვარული არ არის (ეტყობა, კარგად იცოდნენ, რომ მას შანსები არ ჰქონდა) და ის თავისი მუშაობიდან შედეგების მიღებით უფრო კმაყოფილდება. მალალა იუსუფზაიმ, რომელიც თალიბებმა დაჭრეს (სიკვდილს ძლივს გადარჩა), ორი დღის წინ მიღო სახაროვის პრემია, რომელზეც ასევე წარდგენილი იყო.

მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ოფიციალურ გამოცხადებამდე ერთი საათით ადრე „ინტრიგა გააფუჭა“ ერთ-ერთმა ნორვეგიულმა ტელეკომპანიამ, რომელმაც „ივარაუდა“, რომ პრემია ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას გადაეცემა.

მოამზადა ივა შილაკაძემ

რეინკარნირებული „საჩუქარი" იწყება

პირველი გვერდიდან

ჩვენ არ ვართ საფრანგეთში, გერმანიასა და ბრიტანეთში, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მუსიკის, თეატრის, სახვითი ხელოვნებისა და სხვა სფეროების მოყვარული საზოგადოებები. ანალოგიური სიტუაციაა მედიის მიერ ამ პროცესების გაშუქების თვალსაზრისით. როცა პრესას ისე უჭირს, რომ მხოლოდ ერთი თემა უნდა აირჩიოს, ანდა როცა ტელევიზიები იმდენად დიად კომერციულ მიზნებს ემსახურებიან რომ კულტურაზე დღეში მხოლოდ 3-წუთიან მონოლოგს გვთავაზობენ, ფესტივალების მენეჯმენტი ცხადია რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

მოკლედ დღეს მხოლოდ ერთ ამბავზე უნდა მოგახსენით. ამიტომაც დღეს ვერც „არტისტერიუმის" მიერ შემოთავაზებულ ერთ ძალიან კარგ გამოფენაზე ვერ მოგახსენებთ და ვერც თელავის მუსიკალური ფესტივალის ერთობ საინტერესო პროგრამაზე, რომელიც დღეს საღამოს იქნება წარდგენილი მსმენელისთვის. რაკი 13 ოქტომბერი კვირაა და რაკი ამ დღეს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფესტივალი „საჩუქარი" იწყება, უნდა მოვასწრო და ორიოდე სიტყვა სწორედ ამ ფესტივალის სასტარტო საღამოზე მოგახსენოთ და აქვე წარმოგიდგინოთ ფესტივალის პროგრამა, რათა პროგრამაში მაინც იპოვნოთ ის, რაც ძალიან გაინტერესებთ.

„საჩუქარი" გაცოცხლებული ფესტივალია. „საჩუქრის" ისტორია ნამდვილად არის ისტორია იმის შესახებ, თუ რამდენად პოლიტიზირებულია კულტურა საქართველოში და რომ საქართველს ვერც ერთმა ხელისუფალმა კულტურას, როგორც საზოგადოებრივი აზრის მართვის სადავეს, ხელი ვერ შეუშვა. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც კულტურის განვითარება მხოლდო ფესტივალების ორგანიზებად არის აღმული. ეს კარგია - გვაქვს ბევრი მსგავსი და პარალელურ რეჟიმში მიმდინარე ფესტივალი. ცუდიცაა, იმიტომ რომ გვაქვს მხოლოდ ფესტივალები. ცოტა კიდევ კონცერტები. ანუ გავქვს საშუალება წარდგენის, მაგრამ არ არის რესურსი დაგროვების, ანალიზის, შემეცნების. რესურსების განსაზღვრა შორს წამიყვანს. დღეს კარგზე ვსაუბრობ - კარგ ფესტივალზე, ძალიან კარგი პროგრამით. ანუ ფესტივალზე, რომელსაც ნამდვილად აქვს კარგი ფინანსური რესურსი. იქ გავჩერდი, სადაც „საჩუქარი" კულტურის სტრატეგიის ხატებად დავასახელე. რატომაც არა? ფესტივალი „საჩუქარი" გააუქმეს (დაფინანსება შეუჩერეს) იმიტომ რომ ფესტივალის დირექტორი ქალბატონი ქეთი დოლიძე კონფრონტაციაში შევიდა ამა თუ იმ (რაღა დროს ამ საქმის დეტალებია...) პოლიტიკოსთან. 2013 წელს „საჩუქარი" დაბრუნდა, იმიტომ რომ ქეთი დოლიძე მმართველ პოლიტიკურ ძალასთან ერთად მოიაზრება.

კულტურის ამ ტიპის პოლიტიზირება კულტურის მართვის თუ შექმნის ყველაზე პრიმიტიულ მოდელს ქმნის, თუმცა არსებობს სხვა მხარე, რომელიც ამ მოდელის ნაკლოვანებებს მაინც მეორეხარისხოვნად აქცევს. აბა მითხარით, რომელ თეატრალს არ სურს საშა ვალცის ან პიტერ ბრუკის წარმოდგენის ხილვა თბილისში? ყველას უკლებლივ. და ეს ყველა მადლიერია ფესტივალის ორგანიზატორების, რომლებმაც ძალიან საინტერესო პროგრამა მოამზადა. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს პროგრამა და ფესტივალი, ჩვენ მაინც ვიცით, რომ გარემო, კულტურული სივრცე, რომელშიც პოლიტიკურ-პარტიული სიმპატიები წყვეტდა და წყვეტს დღემდე ცალსახად დასანგრევია, როგორც ტოტალიტარული რეჟიმის მენტალურ-ფსიქიკური სენი და ამ სისტემას ვერ დაანგრევს ვერც მომხმარებელი - ანუ ჩვენ, აუდიტორია და ვერც მედიატორები - ანუ ამა თუ იმ ფესტივალის დირექცია, რომელსაც აქვს ძალიან გასაგები ვნება „აჩვენოს საუკეთესო თავის მაყურებელს" და „ამ გზით მისცეს ინფორმაცია საუკეთესოს შესახებ კულტურაში". ამას ვერც ერთი მხარე ვერ შეძლებს, ვიდრე საქართველოში არსებობს თავკაცობა, რომელიც ახდენს კულტურის მარგინალიზაციას.

ფესტივალი იხსნება 13 ოქტომბერს, 17:00 საათზე და ორი კვირის განმავლობაში თბილისელ მაყურებელს საშუალება ექნება დაესწროს სხვადასხვა კოლექტივების მიერ წარმოდგენილ სანახაობებს .

პროგრამის გახსნა მოხდება რუსთაველის თეატრში. წარმოდგენილი იქნება პიტერ ბრუკის 90-იანი წლების გახმაურებული დადგმა „კოსტუმი" კენ თემბას, მოტობი მათლოტსის და ბარნი საიმონის მოტივებზე. რეჟისორი, ადაპტაციის და მუსიკალური გაფორმების ავტორი პიტერ ბრუკი/ დასაწყისი 20.15 საათზე.

„ეს წარმოდგენა მხოლოდ 75 წუთს გრძელდება, მაგრამ ის შეიძლება გაცილებით დიდხანს დარჩეს იმ ადამიანების მეხსიერებაში, ვისაც ბედმა გაუღიმა და შეძლო მისი ნახვა." (Quentin Letts, The Daily Mail - 24/05/2012 - UK)

„1999 წელს, როდესაც დიდ სცენაზე პირველად გავიტანეთ „კოსტიუმი" აპარტეიდის ისტორია ისედაც აქტუალური თემა იყო და ხაზგასმას არ საჭიროებდა, ამიტომ ჩვენ კონცენტრაცია ადამიანურ ურთიერთობებზე მოვახდინეთ. მაგრამ როცა მასზე მუშაობა ხელახლა დავიწყეთ 2013 წელს, აპარტაიდის ისტორია კი არ იყო მთავარი, არამედ ის მრისხანება და დიქტატურა, რასაც მსოფლიო სხვა და სხვა ადგილი მოეცვა." - პიტერ ბრუკი

რეჟისორ პიტერ ბრუკის წარმოდგენა ახალგაზრდა წყვილზე მოგვითხრობს; ერთ მშვენიერ დღეს ქმარი ოჯახური ღალატის მომსწრე ხდება, სახლიდან გაქცეულ საყვარელს კი საწოლ ოთახში კოსტიუმი რჩება. ცოლის დასასჯელად ქმარი ორიგინალურ ხერხს მიმართავს: ის მეუღლეს აიძულებს ისე მოეპყრას კოსტიუმს, თითქოს ის საპატიო სტუმარი ყოფილიყოს: ესაუბროს მას, გაუკეთოს გემრიელი სადილი, შაბათობით კი სუფთა ჰაერზე გაასეირნოს. ასე ხდება კოსტიუმი მათ ოჯახში მესამე წევრი.. ცოლქმრული ღალატის სიმბოლო.. პიტერ ბრუკმა ერთ ოჯახში გამეფებული დიქტატურის მაგალითით, სიმბოლურად გვიჩვენა თანამედროვე მსოფლიოს დიქტატორული რეჟიმების სისასტიკე.

„თავისუფალ უნივერსიტეტსა“ და „ხუალინგ ჯგუფს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

უმსხვილესი ჩინური კორპორაცია ქართველი სტუდენტების დასაქმებაზე იზრუნებს

თბილისის თავისუფალ უნივერსისტეტსა და ჩინეთის ერთ-ერთ უმსხვილესი კორპორაცია „ხუალინგ ჯგუფს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს თავისუფალი უნივერსიტეტის კანცლერმა ვახტანგ ლეჟავამ და „ხუალინგ ჯგუფის“ გენერალურმა მდივანმა ვანგ შენგსინიმ.

მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ, „ხუალინგ ჯგუფის“დირექტორატი, ჩინეთის საელჩოს სავაჭრო წარმომადგენლობის მრჩეველი ლიუ პო, თავისუფალი უნივერსისტეტის პრორექტორი მარინა ქარჩავა, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის დეკანი გიორგი კაციტაძე, ჩინური მიმართულების ხელმძღვანელი და კონფუცის ინსტიტუტის დირექტორი მარინე ჯიბლაძე, სტუდენტები.

მოწვეულმა სტუმრებმა თავდაპირველად დაათვალიერეს „თავისუფალი უნივერსიტეტის“ საცდელი ლაბორატორიები, ესტუმრნენ „კულინარიის აკადემიას“. ისინი უშუალოდ გაეცნენ სტუდენტების მომზადებისა და სწავლების პროცესს, მათ შორის პრაქტიულ მეცადინოებებს. დასასრულს ხელი მოეწერა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს.

მემორანდუმი „ხუალინგ ჯგუფში“ უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებას ითვალისწინებს. ამ მიზნით კომპანია მათ სასწავლებლად გაგზავნასა და გადამზადებას ჩინეთში გეგმავს. კომპანიის საკადრო პოლიტიკა მიმართულია მაქსიმალურად გამოიყენოს ადგილობრივი რესურსი და დაასაქმოს ისინი. ამ თანამშრომლობით ასევე შესაძლებელია ჩინეთი-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვადასხვა ერთობლივი პროექტების ეფექტურად განხორციელებაც.

თავისუფალი უნივერსიტეტი ხარისხიანი განათლების უმნიშვნელოვანესი ცენტრი და ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ საფუძვლიანი ცოდნა მიიღონ ჩინურ ენაში და ქვეყნისმცდონეობაში. სტუდენტები თავისუფალი უნივერსიტეტის ჩინური ენის საგამოცდო ცენტრშივე აბარებენ გამოცდებს და ჩინეთიდან იღებენ ჩინურ ენაში HSK საერთაშორისო სერთიფიკატებს. ამასთან, აქტიურად მონაწილეობენ ჩინეთთან და ჩინურ ენასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში. „ხუალინგ ჯგუფმა“ თანამშრომლობისთვის თბილისის „თავისუფალი უნივერსიტეტი“ სწორედ ამ ნიშნის გათვალისწინებით შეარჩია. თავის მხრივ, უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს თავისი სტუდენტებისა და კუსდამთავრებულების წარმატებულ დასაქმებას.

ვახტანგ ლეჟავა, „თავისუფალი უნივერსიტეტის“ კანცლერი: „ეს არის საქართველოს ერთ-ერთი წარმატებული უნივერსიტეტი. საამაყოა, რომ ჩვენ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმეთ ჩინეთის ერთ-ერთ უმსხვილეს კორპორაციასთან. ჩვენ არამხოლოდ ვუწყობთ ხელს სტუდენტებს მიიღონ ხარისხიანი ცოდნა და განათლება, არამედ ჩვენ ასევე ხარისხიანად ვზრუნავთ სამომავლოდ მათ წარმატებულ დასაქმებაზეც.“

ვანგ შენგსინი, „ხუალინგ ჯგუფის“ გენერალური მდივანი: „თანამშრობლობისთვის არჩევანი შევაჩერეთ „თავისუფალ უნივერსიტეტზე“, რადგან ის ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ საფუძვლიანი ცოდნა მიიღონ ჩინურ ენაში და ქვეყნისმცდონეობაში. გარდა ამისა, კომპანიის საკადრო პოლიტიკა მიმართულია მაქსიმალურად გამოიყენოს ადგილობრივი რესურსი და დაასაქმოს ისინი. შესაბამიასდ, ჩვენი თანამშრომლობა იქნება ამის წინაპირობა, ვიზრუნოთ სუტნდეტების პრაქტიკაზე, მათ გადამზადებას და სამომავლოდ დასაქმებაზე“. მნიშვნელოვანია, რომ დღეს „ხუალინგ ჯგუფში“ თავისუფალი უნივერსიტეტის კუსრდამთავრებულების კარიერული განვითარების არაერთი მაგალითი არსებობს. მემორანდუმი მათი წარმატებულად და ეფექტურად დასაქმების კიდევ ერთი წინაპირობა გახდება.

კორპორაცია „ხუალინგის“ საქმიანობის ძირითად სფეროს მსხვილი დეველოპერული პროექტების განხორციელება წარმოადგენს, როგორც ჩინეთში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის აშშ, შუა აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში. „ხუალინგ ჯგუფი“ 1988 წელს, სინძიანში დაარსდა და ჩინეთში 4 განვითარებულ საბითუმო ბაზართან ერთად, 4 მილიონ კვადრატულ მეტრ კომერციულ ფართს ფლობს. „ხუალინგ ჯგუფმა“ საქართველოში ინვესტირება 2007 წლის ბოლოს დაიწყო, როდესაც კომპანიამ 48 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის მოპოვებაზე ლიცენზია მოიპოვა და თავისუფალი ზონის მშენებლობა დაიწყო ქუთაისში, 2012 წელს კორპორაცია „ბაზისბანკის“ აქციათა 90 პროცენტი წილის მფლობელი გახდა. დღეს, „ხუალინგ ჯგუფი“ თბილისის ზღვაზე ოლიმპიური სოფლის მშენებლობას ახორციელებს, თავდაპირველად ამ მიზნით 150 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს, აშენებულ კომპლექსში 4 ათასამდე სპორტსმენის განთავსება იქნება შესაძლებელი. ოლიმპიური სოფელი უსასყიდლოდ გადაეცემა ქალაქ თბილისს 2015 წლისთვის დაგეგმილი ახალგაზრდული ოლიმპიადის მასპინძლებოსითვის.

უეფა ერთა ლიგის ინიციატივით გამოდის

ამხანაგურ მატჩებს ფასი დაედება

ეროვნულ ნაკრებთა მატჩების მიმართ გულშემატკივრის ინტერესის გასაღვივებლად უეფას მაღალჩინოსნები ამხანაგური მატჩების ალტერნატიული პროექტის - ერთა ლიგის ტურნირის დაწესების შესაძლებლობასა და მის პერსპექტივაზე მსჯელობას შეუდგნენ. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ამაღლდეს სანაკრებო შეხვედრების მიმართ სატურნირო მოტივაცია, რაც უდავოდ აკლია ამხანაგურ მატჩებს. პროექტის მიხედვით, ნაკრებებს, ფიფას რეიტინგის შესაბამისად, ხუთ ჯგუფში გაანაწილებენ. უძლიერესი ჯგუფის გამარჯვებული ფულად ჯილდოს მიიღებს, დანარჩენებში კი უძლიერეს გუნდს მიეცემა უფლება უფრო ძლიერი შემადგენლობის დივიზიონში გადანაცვლებით დაწინაურდეს, ხოლო ჯგუფის ხელმოცარულები დაქვეითდებიან.

პოლონური ინტერნეტ გამოცემის, sport.pl-ის თანახმად, ერთა ლიგის ჩატარება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იგეგმება, პროექტი კი 2016 წელზე ადრე არ განხორციელდება.

თვალსაჩინოებისთვის, ეს ტურნირი დღეს რომ იწყებოდეს, გუნდები ასე დაჯგუფდებოდნენ.

წლეულს, 2 ივნისს ირლანდიამ საქართველოს ამხანაგურად უმასპინძლა.

A დივიზიონი: ესპანეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, ხორვატია, პორტუგალია, საბერძნეთი.

B ჯგუფი: შვეიცარია, რუსეთი, ინგლისი, ბოსნია, შვედეთი, დანია, საფრანგეთი, უკრაინა.

C ჯგუფი: ჩერნოგორია, სლოვენია, უნგრეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, ნორვეგია, სერბეთი, ალბანეთი, ავსტრია, თურქეთი, უელსი, ისლანდია, სომხეთი, ფინეთი, ირლანდია, სლოვენია.

D ჯგუფი: შოტლანდია, ბულგარეთი, პოლონეთი, ისრაელი, მაკედონია, ბელარუსი, ჩრდილოეთ ირლანდია, ესტონეთი, **საქართველო**, აზერბაიჯანი, ლიტვა, ლატვია, ლუქსემბურგი, მოლდოვა, ყაზახეთი, კვიპროსი.

E ჯგუფი: მალტა, ლიხტენშტაინი, ფარერები, ანდორა, სან მარინო, გიბრალტარი.

საქართველოსა და სერბეთის ამხანაგური 4:4

ვასილ მაისურაძის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა, გორში სერბეთთან მეორე ამხანაგური მატჩიც ფრედ - ანგარიშით 4:4 დაასრულა (პირველი შეხვედრა 1:1).

პირველი გოლი მათე ცინცაძემ ჭიაბერ ჭეჭელაშვილის პასით გაიტანა, თუმცა მეტოქემ გათანაბრება მალევე შეძლო. 38-ე წუთზე კი თავისი გუნდის წინ ილია კერძევაძემ ისევ ჭეჭელაშვილის პასით გაიტანა - 2:1. 43-ე წუთზე სერბთა ფეხბურთელმა ბურთი საკუთარ კარში გაიტანა და პირველი ტაიმი ვასილ მაისურაძის შეგირდების გამარჯვებით, ანგარიშით 3:1 დასრულდა.

მეორე ტაიმში სერბებმა 30 წუთში ორი გოლი გაიტანეს და ანგარიში გაათანაბრეს - 4:4.

ფაცაცია-ცინცაძის დაპირისპირება უკრაინის სუპერლიგაში

უკრაინის სუპერლიგა 9 ოქტომბერს დაიწყო, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო მატჩი 10-ში, დნეპროპეტროვსკში გაიმართა. ერთმანეთს შეხვდნენ ქართველი კალათბურთელების გუნდები - ლევან ფაცაციას „დნიპრო-აზოტი“ და გიორგი ცინცაძის „დონეცკი“. მატჩი სტუმართა გამარჯვებით - 94:78 დასრულდა.

უფრო შედეგიანი ფაცაცია იყო, რომელმაც ცინცაძეზე სამჯერ მეტხანს ითამაშა. ლევანი დნეპროპეტროვსკელთა სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 35:28 წუთში 11 ქულა, 4 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოაგროვა. ეს ბოლო მაჩვენებელი მის გუნდში საუკეთესო იყო. ფაცაციამ 9-დან 4 ორქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, 4 სამქულიანი კი ააცილა.

გიორგი ცინცაძეც სასტარტოში იყო, თუმცა, მოედანზე მხოლოდ 12:44 წუთი გაატარა. ამ დროში მან 2 ქულა, 3 პასი და 1 მოხსნა დააგროვა. გიორგიმ 2-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა. გამარჯვებულ დონეცკელთა შორის 27 ქულით ბენ მაკალი გამოირჩა, ხოლო მარკო კილინგსვორტს 24 ქულა ჰქონდა.

მომდევნო მატჩს დონეცკელები 18 ოქტომბერს შინ „აზოვმაშთან“ გამართავენ, ხოლო „აზოტი“ 20-ში თანაქალაქელ „დნიპროს“ შეერკინება.

gbf.ge

დელ ბოსკე: „წინ ორი ფინალი გველის“

გიგა გურასაშვილი

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევისა და ამავე დროს წლის ბოლო ოფიციალური მატჩისთვის ესპანეთის ქალაქ ალბასეტეში ემზადება. სატურნირო თვალსაზრისით თემურ ქეცბაიას გუნდისთვის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთან შეხვედრა არაფრის მომცემია, რადგან ბოლო შანსი, ჯგუფში მესამე ადგილი დაგვეკავებინა, ფინეთთან გავანიავეთ. ასე რომ, თუ რაიმე მნიშვნელობაზე შეიძლება საუბარი, ეს მხოლოდ ის არის, რომ ესპანეთს ვეთამაშებით, გუნდს, რომელიც ამინდს ქმნის საფეხბურთო რუკაზე საფეხბურთო აკადემიაა მათთვის, ვისაც ფეხბურთის სწავლა უნდა.

საქართველოს ნაკრები წლის ბოლო მატჩისთვის 8 ოქტომბერს შეიკრიბა. რამდენიმე დღეა ალბასეტეშია და დიდ გუნდთან სათამაშოდ ემზადება. უმოტივაციო გუნდისთვის - საქართველოსთვის, ჩვენდა სამწუხაროდ, ერთადერთ მოტივაციად ესპანეთთან თამაში რჩება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ესპანეთში მყოფ ფეხბურთელთაგან ყველა ჯანმრთელადაა, ტრავმას არავინ უჩივის და 15 ოქტომბრის მატჩისთვის ემზადება.

ალექსანდრე ამისულაშვილისა და თორნიკე ოქრიაშვილის ტრავმების შემდეგ კი ნაკრებს ერთი წამყვანი მოთამაშე - ჯანო ანანიძეც გამოაკლდა, ოღონდ ამ შემთხვევაში ნაკრებში არყოფნის მიზეზი ოჯახურმა მდგომარეობამ განსაზღვრა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, „როსტოვის“ ქართველმა ლეგიონერმა მიზანშეწონილად ჩათვალა, ფედერაციის ვებგვერდისთვის ნაკრებში თავისი არყოფნის მიზეზი აეხსნა: „რთული ოჯახური ვითარება შემექმნა და ამიტომ რამდენიმე დღით საქართველოში დარჩენა მომიხდა. მე არ მივეკუთვნები იმ კატეგორიას, რომელსაც შეუძლია უმნიშვნელო მიზეზის გამო უარი თქვას ეროვნულ ან ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებაზე. ეს არც აქამდე გამიკეთებია და არც მომავალში ვაპირებ. მით უმეტეს, რომ გულშემატკივრისგან ყოველთვის ვგრძნობ დიდ სითბოს და სიყვარულს.

ნაკრების მაისურით თამაში ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება და პატივია, მაგრამ დღეს ჩემი ოჯახი განსაცდელშია და ვალდებული ვარ, მის გვერდით ვიყო. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ იმას, რომ საქართველოში ჩემი დარჩენის ერთადერთი მიზეზი ოჯახური მდგომარეობაა“.

ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე იძულებითი ცვლილება დისკვალიფიკაციებმა განაპირობა. მაგალითად, ყვითელი ბარათის გამო ესპანეთთან ვერ ითამაშებენ ჯაბა კანკავა, დავით თარგამაძე და გია გრიგალავა.

ვიდრე საქართველოს ნაკრების შემადგენლობას გავეცნობოდეთ, ორიოდე სიტყვა ესპანეთის ბანაკზე.

მასპინძელთა მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე ამბობს, რომ დღეს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე მეტად მიმდინარე შესარჩევ ციკლში ბელარუსისა და საქართველოს ნაკრებებთან მატჩები აფიქრებს.

„ვნახოთ, მომავალი რას შემოგვთავაზებს, დღეს კი სასწორზე ექვსი ქულა დევს, - ბელარუსთან გუშინდელ მატჩამდე ერთი დღი ადრე Football Espana-სთან საუბარში აცხადებდა ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე. - ჩვენ გზიდან არ უნდა გადავუხვიოთ. ორი ფინალის ტოლფასი შეხვედრა გველის. ამიტომ მწვრთნელებმა თუ ფეხბურთელებმა ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ. ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ჩვენ ამ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. მეტოქის დაუფასებლობა არ იქნება“.

დელ ბოსკეს ორი დღის წინანდელი განცხადებაც გავიხსენოთ, როდესაც საქართველოს ნაკრებთან დაკავშირებით თქვა, რა შედეგსაც არ უნდა მივაღწიოთ ბელარუსთან, გადამწყვეტი მაინც საქართველოსთან შეხვედრა იქნებაო.

ესპანეთთან მატჩისთვის გამოძახებული საქართველოს ნაკრების 20-კაციანი სია ასე გამოიყურება:

მეკარეები: გიორგი ლორია („დინამო“, თბილისი), ნუკრი რევიშვილი („დილა“, გორი), როინ კვასხვაძე („ზესტაფონი“)

მცველები: უჩა ლობჟანიძე („დნიპრო“, უკრაინა), აკაკი ხუბუტია („მორდოვია“, რუსეთი), გურამ კაშია („ვიტესი“, ჰოლანდია), გიორგი ხიდეშელი („ტორპედო“, ქუთაისი), დავით კვირკველია („დინამო“, თბილისი), გულვერდ თომაშვილი, ალექსანდრე კვახაძე (ორივე - „დილა“, გორი), გიორგი ფოფხაძე („იაგელონია“, პოლონეთი), მათე ღვინიანიძე („სევასტოპოლი“, უკრაინა)

ნახევარმცველები: ლევან ხმალაძე, ირაკლი ძარია, ელგუჯა გრიგალაშვილი (სამივე - „დინამო“, თბილისი), ალექსანდრე კობახიძე („დნიპრო“, უკრაინა), შოთა გრიგალაშვილი („ანორთოსისი“, კვიპროსი), ავთანდილ ებრალიძე („ჟილ ვისენტე“, პორტუგალია)

თავდამსხმელები: ვლადიმერ დვალიშვილი („ლეგია“, პოლონეთი), ნიკოლოზ გელაშვილი („ყარაბაღი“, აზერბაიჯანი), ბაჩანა ცხადაძე („ინტერი“ ბაქო, აზერბაიჯანი), ირაკლი მოდებაძე („დილა“, გორი).

ესპანეთი VS საქართველო 15 ოქტომბერს, თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება. მატჩის პირდაპირ ტელეტრანსლაციას ქალაქ ალბასეტედან „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველი არხი განახორციელებს.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allmovies.ge
Pink